ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
23.03.2012 № 38
თბილისი

2011/2012 სასწავლო წლის
მეორე სემესტრში შუალედური,
დასკვნითი და დამატებითი გამოცდების
წერილობითი ფორმით ჩატარების შესახებ

"უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 14 თებერვლის №43/ნ ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (პროფესიული უმაღლესი განათლება, ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), სწავლების ყველა წლის სტუდენტებისათვის 2011/2012 სასწავლო წლის მეორე სემესტრში შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები (შემდგომში – გამოცდები) ჩატარდეს წერილობითი ფორმით სტუ-ს 2011 წლის №967/03 ბრძანებით შექმნილი საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრის მეშვეობით;
2. დაევალოს სწავლების დეპარტამენტს, ფაკულტეტების დეკანის ფუნქციის შემსრულებლებს/დეკანებს და საუნივერსიტეტო ტესტირების ცენტრს (დავით კაპანაძე):
   ა) განახორციელონ გამოცდების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
   ბ) დეკანატებთან შეთანხმებით შეადგინონ გამოცდების ჩატარების გრაფიკი სტუ-ს 2012 წლის 30 იანვრის №10 ბრძანებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით;
   გ) უზრუნველყონ სტუდენტებისთვის და დეკანატებისთვის გამოცდების შედეგების დროულად გაცნობა/მიწოდება;
   დ) უზრუნველყონ გამოცდების პროცედურასთან და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების განმცხადებლისათვის გაცნობა;
3. საგამოცდო ნაშრომები უნდა ინახებოდეს არანაკლებ ერთი სემესტრის განმავლობაში, რის შემდეგ ექვემდებარება განადგურებას;

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს იური ლომიძეს.
5. ბრძანება გამოიკრას თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

რექტორი *ბ. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ. კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ. მაისურაძე*